ტრანსპორტირების უსაფრთხოების ადვოკატირება

ავტორი: ნანა სვანიძე

სკოლა: სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლა

I- გაკვეთილის სათაური: უსაფრთხო მოძრაობა

კლასი: მეცხრე

საგანი: ფიზიკა

II-სასწავლო მიზნები:

პრობლემის გადაჭრის, კვლევის და თანამშრომლობის უნარების განვითარება (კვლ.IX.4); არათანაბარი მოძრაობის დაკავშირება ყოველდღიურობასთან და ტრანსპორტირების უსაფრთხოების ადვოკატირება.

მოსწავლე გაკვეთილის შემდეგ შეძლებს არათანაბარი მოძრაობის დახასიათებას, ინტერნეტში საგზაო წესების დარღვევების არა მხოლოდ დაფიქსირებას, არამედ ამ სიტუაციების განხილვას და ადვოკატირებას, მოპოვებული ინფორმაციის გაფილტრვას და კრიტიკულად შეფასებას, მონაცემების კლასიფიკაციას, დიაგრამების განხილვას, დასკვნის გაკეთებას.

მედიაწიგნიერების მიზნები:

მედიასაშუალებებში გამოქვეყნებულ ინფორმაციის ანალიზი და განხილვა.

III-უცხო სიტყვათა ლექსიკონი:

ადვოკატირება (advocacy) - საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მეთოდი, რომლის გამოყენება შესაძლებელია საზოგადოებისათვის სასარგებლო ცვლილებების ინიცირებისათვის; ქმედება, რომელიც მიმართულია გარკვეული სოციალური ჯგუფის ინტერესთა ან უფლებების დაცვისაკენ.

„ზებრა“ ქვეითად გადასასვლელი – სავალი ნაწილის მონაკვეთი, რომელიც განკუთვნილია ქვეითის გზაზე გადასასვლელად და აღნიშნულია 5.16.1, 5.16.2 ნიშნებით ან/და 1.14.1–1.14.3 მონიშვნებით (თუ მონიშვნები არ არის, ქვეითად გადასასვლელის სიგანე განისაზღვრება 5.16.1 და 5.16.2 ნიშნებს შორის მანძილით).

გაფილტრვა - არასასურველი ინფორმაციის მიღების შეზღუდვა.

ავარია - საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა – გზაზე სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისას მისივე მონაწილეობით წარმოქმნილი მოვლენა, რომლის დროსაც დაშავდა ან დაიღუპა ადამიანი, დაზიანდა სატრანსპორტო საშუალება, ტვირთი, ნაგებობა ან სხვა ქონება.

სანქცია - ზომების ერთობლიობა, რომელიც გამოხატულია პოზიტიური (წახალისების) ან ნეგატიური (დასჯის) ფორმებით და ემსახურება საზოგადოებაში სოციალური ნორმების დაცვასა და მხარდაჭერას.

IV - საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი: ინტერნეტი, პროექტორი, ფოტოები, დიაგრამები.

V - შენიშვნები: გაკვეთილის ნორმალური მსვლელობისთვის საჭიროა ინტერნეტში ჩართული 4-5 კომპიუტერი (კლასში მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით) ჯგუფური მეცადინეობისათვის; მასალაში გამოყენებულია შსს-ს სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც მუდმივად განახლებადია. შესაძლოა მასწავლებელმა მსგავსი გაკვეთილის ჩატარებისას გამოიყენოს სხვა ან განახლებული სლაიდები.

VI - გაკვეთილის დროში გაწერილი მიმდინარეობა

აქტივობა პირველი (7 წთ) - მინი-ლექცია

მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს ჩატარებულ საქმიანობებს.

მოსწავლეებმა 6 კვირის განმავლობაში განახორციელეს სასწავლო პროექტი.

მოკლე ინფორმაცია განხორციელებული სასწავლო პროექტის შესახებ:

„ტრანსპორტირების უსაფრთხოების ადვოკატირება“

პროექტის ფარგლებში ჩატარდა საველე სამუშაოები და გამოთვლები. მოსწავლეებმა შეისწავლეს სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ყველა გადასასვლელი, გადაიღეს სურათები, ვიდეო, დააფიქსირეს დარღვევები როგორც მძღოლების მხრიდან, ასევე ქვეითების მხრიდანაც. საბედნიეროდ, კანონმორჩილი მძღოლებისა და ქვეითების რაოდენობა დამრღვევების რაოდენობაზე მეტია. მასწავლებელმა და მოსწავლეებმა ერთობლივად მიმართეს ქალაქის მერიას საველე სამუშაოების შესრულების ნებართვის მისაღებად. მერიამ მოიწონა მათი იდეა. ასევე მივმართეს პატრულის ქუთაისის განყოფილებას. სამუშაო ჯგუფს აინტერესებდა მოძრაობის წესების რამდენი დარღვევა ფიქსირდება ე.წ. „ზებრასთან“. პატრულის ქუთაისის გაყოფილებიდან მიიღეს პასუხი, რომ ასეთ სტატისტიკას არ აწარმოებენ. ზებრაზე მოძრაობის დარღვევაზე კანონი ითვალისწინებს მძღოლებისა და ქვეითად მოსიარულეების დაჯარიმებას. მოსწავლეებმა დააფიქსირეს ისეთი სატრანსპორტო საშუალებები, რომლებსაც სპიდომეტრი არც ჰქონდათ. ასეთი ავტობუსით უწევთ მგზავრობა ჩვენს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს.

მასწავლებელმა უნდა უთხრას მოსწავლეებს, რომ ისინი გაიმეორებენ და შეაჯამებენ არათანაბარ მოძრაობას და მის გამოყენებას ყოველდღიურ ცხოვრებაში; იმსჯელებენ კანონის დაცვის აუცილებლობასა და ტრანსპორტირების უსაფრთხოების ადვოკატირებაზე.

იხილეთ ადვოკატირების პროცესის ამსახველი დოკუმენტები.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ შოთა მურღულიას

სსიპ ქალაქ ქუთაისის #14 საჯარო სკოლის

ფიზიკის მასწავლებლის

ნანა სვანიძის

განცხადება

ბატონო შოთა! #14 საჯარო სკოლაში ვახორციელებთ ინტეგრირებულ პროექტს „ტრანსპორტირების უსაფრთხოების ადვოკატირება“. ჩვენი პროექტის მიზანია მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლება და ფიზიკის დაკავშირება ყოველდღიურობასთან. პროექტის ფარგლებში ჩემს მე-9 კლასელებს მოუწევთ საველე სამუშაოების ჩატარება. გთხოვთ დაგვრთოთ ნება და გვიშუამდგომლოთ ქალაქის პატრულის სამსახურთან და კეთილმოწყობის სამსახურთან გაგვიწიონ სათანადო კონსულტაცია და დახმერება.

პატივისცემით,

ნანა სვანიძე

ტრანსპორტირების უსაფრთხოების ადვოკატირება
ნანა სვანიძე



საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი
GEORGIA
Mayor of Kutaisi Municipality

N 01/11000
17/11/2015

11000-01-2-201511170935

სსიპ ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის
მასწავლებელს ქალბატონ ნანა სვანიძეს

ქალბატონო ნანა,

თქვენი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ ინტეგრირებული სასწავლო პროექტის „ტრანსპორტირების უსაფრთხოების ადვოკატირება“ წარმატებით განხორციელების მიზნით ქ.ქუთაისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის ტრანსპორტის განყოფილების სპეციალისტები გაგიწევენ სათანადო კონსულტაციებს საველე გამოცდების დაგეგმვისა და ჩატარების, ასევე გამოცდების შედეგების დამუშავებისა და ანალიზის პროცესში.

პატივისცემით
შოთა მურღულია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

3 Rustaveli ave. Kutaisi. 4600, Georgia
Tel/Fax (+995431) 245454; Fax: (+995431) 246962
www.Kutaisi.gov.ge; interrelations@Kutaisi.gov.ge

4600, საქართველო, ქუთაისი, რუსთაველის გამზ. № 3
ტელ/ფაქსი: (0431) 245454; ფაქსი: (0431) 246962

ტრანსპორტირების უსაფრთხოების ადვოკატირება
ნანა სვანიძე

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის

იმერეთის მთავარი სამმართველოს უფროსს,

პოლიციის პოლკოვნიკ ამირან ვერულაშვილს

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი სკოლის მე-9 კლასების ბაზაზე ვახორციელებთ პროექტს „ტრანსპორტირების უსაფრთხოების ადვოკატირება“. პროექტის ფარგლებში გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ქვეითებისა და მძღოლების დარღვევების სტატისტიკის შესახებ. პირველ რიგში გვაინტერესებს საშუალოდ დღეში რამდენი დარღვევა ფიქსირდება „ზებრასთან“ როგორც მძღოლების მხრიდან, ასევე ქვეითების მიზეზით და მეორეც,როგორია ეს სტატისტიკა ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიაზე, ანუ ავტომშენებლის ქუჩაზე ე.წ. ბეტონის გაჩერებიდან პოლიციის მესამე განყოფილებამდე.

გულისხმიერებისა და თანამშრომლობისთვის წინასწარ გიხდით მადლობას.

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლის

ფიზიკის მასწავლებელი,პროექტის ავტორი

2/12 2015 წ.

ნანა სვანიძე

ბკ 02.12.15

ტრანსპორტირების უსაფრთხოების ადვოკატირება
ნანა სვანიძე

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი
იმერეთის მთავარი სამმართველო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT
IMERETI MAIN DIVISION

№ 2687206 „2" დეკემბერი 2015 წ.

სსიპ ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის
მასწავლებელს **ნანა სვანიძეს**

ქალბატონო ნანა,

თქვენი 2015 წლის 2 დეკემბრის განცხადებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველო, სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ, კონკრეტული ქუჩის და გზის მონაკვეთებზე არ აწარმოებს, ქვეითების ან მძღოლების მიერ საგზაო წესების დარღვევის, ასევე მომხდარი ავტოსატრანსპორტო შემთხვევების სტატისტიკას.

პატივისცემით,

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
იმერეთის მთავარი სამმართველოს
საორგანიზაციო სამმართველოს უფროსი,
პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი **ანზორ ნაცვლიშვილი**

ქ. ქუთაისი, ორახელაშვილის ქ. №10
№10 Orakhelashvili st., Qutaisi
ტელ./Tel.: (+ 995 431) 27 95 65
ფაქსი/Fax: (+995 32) 2 41 61 71
E-mail: chishura@mia.gov.ge

მოსწავლეებმა გამოჰკითხეს თანაქალაქელები.

გთავაზობთ გამოყენებულ კითხვარს:

კითხვარი

1.რამდენად ხშირად სარგებლობთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით?

2.კმაყოფილი ხართ თუ არა მძღოლების მომსახურებით?

3.გაკმაყოფილებთ თუ არა ტარიფები?

4.თქვენ თვითონ რამდენად ხშირად არღვევთ მოძრაობის წესებს?

5.როგორ უნდა გაუმჯობესდეს ტრანსპორტის მუშაობა ქალაქში?

გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ:

- ✓ მოქალაქეთა უმრავლესობა არაა კმაყოფილი სატრანსპორტო მომსახურებით.
- ✓ ზოგ სატრანსპორტო საშუალებას 10-დან 20 წუთამდე სჭირდება ლოდინი გაჩერებაზე.
- ✓ ტარიფები მისაღებია, რადგან ქუთაისში, საქართველოს სხვა ქალაქებთან შედარებით, მგზავრობა უფრო იაფია.
- ✓ საკუთარ დარღვევებზე მოქალაქეები ყურადღებას არ ამახვილებენ, ხოლო მძღოლების დარღვევებზე უფრო ხალისით საუბრობენ.

მოსწავლეებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები და მიაწოდეს ქალაქის მერიის კეთილმოწყობის სამსახურს.

გთავაზობთ რეკომენდაციებს:

რეკომენდაციები 1.ავტოპარკის განახლება; 2.მოსახლეობის უკეთ ინფორმირება მოძრაობის წესების დაცვის მიზნით; 3.ისეთ დიდ მონაკვეთზე, როგორიცაა ავტომშენებლის ქუჩაზე ე.წ. უნივერმაღიდან ცახელის ქუჩის ჩასახვევამდე, არსადაა „ზებრა“ და ეს საქმე მოსაწესრიგებელია; 4.ავტოქარხნის საავადმყოფოს ჩასახვევთან გზაჯვარედინზე არ მუშაობს (4-ჯერ გავედით საველე სამუშაოზე!) შუქნიშანი; 5.პატრულის თანამშრომლები „ზებრასთან“ მოძრაობის წესების დარღვევას არ აფიქსირებენ, რაც ქვეყნის ბიუჯეტზე უარყოფითად მოქმედებს; 6.საჭიროა ვიდეოკონტროლის დაყენება 32-ე სკოლიდან მე-14 სკოლამდე ორ ადგილას მაინც.

აქტივობა მეორე (6 წთ) - კითხვა-პასუხი

- ✓ კითხვა: რას ეწოდება მოძრაობა?

სავარაუდო პასუხია: სხეულის მდებარეობის ცვლილებას სხვა სხეულთა მიმართ მოძრაობა ეწოდება.

- ✓ კითხვა: როგორი სახის მოძრაობები იცით?

სავარაუდო პასუხია:ტრაექტორიის ფორმის მიხედვით ორი სახის: წრფივი და მრუდწირული. თუმცა, წრფივი მოძრაობა მაინც მხოლოდ მოძრაობის მოდელია,

რადგან დედამიწა თავად მონაწილეობს, როგორც მინიმუმ, სამი სახის მრუდწირულ მოძრაობაში. ამიტომ თანაბარი მოძრაობაც მხოლოდ მოდელია და შეიძლება განვიხილოთ ათვლის ინერციული სისტემების მიმართ.

- ✓ კითხვა: რით განსხვავდება თანაბარი მოძრაობა არათანაბარი მოძრაობისგან? არსებობს კი თანაბარი მოძრაობა?

სავარაუდო პასუხია:თანაბარია მოძრაობა, თუ სხეული დროის ნებისმიერ ტოლ შუალედში ერთნაირ გადაადგილებებს ასრულებს, ე.ი. წრფივი მოძრაობაა მხოლოდ თანაბარი. არათანაბარი მოძრაობის დროს სიჩქარე ცვლადი სიდიდეა, ანუ მაშინაც კი არათანაბარია მოძრაობა, თუ სიჩქარის მოდული მუდმივია, მაგრამ მიმართულება იცვლება.

- ✓ კითხვა: თანაბარაჩქარებული მოძრაობა რომელი ფიზიკური სიდიდეებით ხასიათდება?

სავარაუდო პასუხია:მუდმივი სიდიდით, რომელიც ტოლია სიჩქარის ცვლილების ფარდობისა იმ დროსთან, რომლის განმავლობაშიც ეს ცვლილება მოხდა. ამ სიდიდეს აჩქარება ეწოდება. $\vec{a} = \frac{\vec{v} - \vec{v}_0}{t}$ ის ვექტორული სიდიდეა; ასევე სიჩქარით, $\vec{v} = \vec{v}_0 + \vec{a}t$ რომელიც დროის პირდაპირპროპორციულია და გადაადგილებით, რომელიც დროის კვადრატის პირდაპირპროპორციულია. $s = v_0 t + \frac{at^2}{2}$

- ✓ კითხვა: როგორ გავზომოთ სიჩქარე და აჩქარება?

სავარაუდო პასუხია:გაზომვის ორი გზა არსებობს: პირდაპირი და ირიბი. პირდაპირი, ანუ ხელსაწყოებით, მაგალითად, სპიდომეტრითა და აქსელერომეტრით, ან მანძილისა და დროის გაზომვით და შემდეგ ფორმულებში ჩასმით.

- ✓ კითხვა: რა არის, უმეტეს შემთხვევაში, ავარიის მიზეზი?

სავარაუდო პასუხია:სიჩქარის გადაჭარბება და მოძრაობის წესების დარღვევა.

აქტივობა მესამე (15-20 წუთი) - ჯგუფური მუშაობა

დავალება

(ყველა ფოტო გადაღებულია მოსწავლეების მიერ)

სიტუაციები გზაზე. არის თუ არა მძღოლი ყოველთვის დამნაშავე?

ფოტო	აღწერა	მძღოლი	ქვეითი
	ფეხითმოსიარულე დგას „ზებრასთან“. კანონის თანახმად, მას აქვს უპირატესობა, გადავიდეს გზის მოპირდაპირე მხარეს, მაგრამ მანქანა არ უთმობს ქვეითს გზას. ეს არის მოძრაობის წესების დარღვევა.	არღვევს კანონს, არ უთმობს გზას ქვეითს.	უცდის, როდის გაივლის წესების დამრღვევი.
	„ზებრაზე“ კანონის დაცვით გადადის ორი ქალი და ბავშვი. მათ აქვთ მოძრაობის უპირატესობა, მაგრამ მანქანა არ ანელებს სვლას და არ უთმობს გზას ქვეითებს.	არღვევს მოძრაო-ბის წესებს. არ უთმობს გზას ქვეი-თებს.	ფეხითმოსი-არულეები გზაზე გადადიან წესების დაცვით.
	ამ ადგილას მოძრაობის უპირატესობა აქვს ტრანსპორტს. ქვეითი გზაზე გადადის წესების დარღვევით.	მოძრა-ობს წესების დაცვით.	არღვევს მოძრაო-ბის წესებს. ამ ადგილიდან ოციოდე მეტრშია „ზებრა“.

5 წუთის შემდეგ თითოეული ჯგუფის ლიდერი გააკეთებს პრეზენტაციას.

აქტივობა მეოთხე (10-12 წთ) - რეფლექსია

მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების დინამიკას შსს-ს ოფიციალური მონაცემების მიხედვით. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეხედონ სლაიდს ან სამუშაო ფურცელს და რვეულში ჩაინიშნონ კითხვებზე პასუხები, ასევე, არგუმენტირებულად დაასაბუთონ პასუხი:







- ✓ კითხვა: რა იწვევს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებს ყველაზე ხშირად?

სავარაუდო პასუხი:სიჩქარის გადაჭარბება, არაფხიზელ მდგომარეობაში ტრანსპორტის მართვა და სხვა.

არგუმენტი: როგორც დიაგრამიდან ჩანს, სიჩქარის გადაჭარბებით საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების დროს დაღუპულთა რაოდენობა 14%-ია, სიმთვრალით გამოწვეული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებისას გარდაცვლილია 10%, ხოლო სხვა დანარჩენი 76%-ს მოიცავს. ანუ საჭიროა მოძრაობის წესების დაცვა ნებისმიერ სიტუაციაში, მათ შორის „ზებრასთანაც“.

- ✓ კითხვა: რომელი ასაკობრივი ჯგუფის ინფორმირებაა საჭირო ყველაზე მეტად და რატომ?

სავარაუდო პასუხი: ნებისმიერი ასაკის.

არგუმენტი: შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მონაცემებიდან ჩანს, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების დროს დაღუპულთა და დაშავებულთა ასაკის სპექტრი მრავალფეროვანია. როგორც სასკოლო ასაკის, ასევე მოზრდილებისა და უფროსი ასაკის წარმომადგენლები ხვდებიან ავარიაში. საჭიროა ინფორმაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენება ტრანსპორტირების უსაფრთხოების ადვოკატირების მიზნით.

- ✓ კითხვა: რომელი სქესის მქონე ადამიანების ინფორმირებაა ყველაზე მეტად საჭირო?

სავარაუდო პასუხი: ორივე სქესის.

არგუმენტი: შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მონაცემებიდან ჩანს, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების დროს დაღუპულთა და დაშავებულთა შორის არიან ქალებიც და მამაკაცებიც.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შეაჯამებს მოძრაობის უსაფრთხოების წესების დაცვის აუცილებლობას, ქვეითისა და მძღოლის უფლებებსა და ვალდებულებებს და სანქციებს ამ წესების დარღვევის შემთხვევაში.

VII - შეფასების ინსტრუმენტები

მოსწავლეთა შეფასებისას მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს შემდეგი მახასიათებლები: მასწავლებელი ქვემოთ მოცემული კრიტერიუმებით შეიმუშავებს დაკვირვების ცხრილს და ჩაინიშნავს მოსწავლეთა შედეგებს, რაც მას საშუალებას მისცემს, სხვა დროს მსგავსი ტიპის აქტივობისას დააკვირდეს მოსწავლეთა დინამიკას. გამოიტანს სათანადო დასკვნებს და ამ დასკვნების მიხედვით დაგეგმავს მომავალ აქტივობებს.
შეუძლია თუ არა მოსწავლეს მიღებული ინფორმაციის ფილტრაცია?
შეუძლია თუ არა მედიარესურსის კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაცია?

„მძღოლი ყოველთვის დამნაშავეა?“- პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	დიახ	არა
პრეზენტაციის ვიზუალური ნაწილი.	მოწესრიგებულია; ზუსტად შეესაბამება შინაარსის ყოველ კომპონენტს.	მოუწესრიგებელია; არ შეესაბამება შინაარსს.
დავალებასთან შესაბამისობა.	ყველა ინსტრუქციაა გათვალისწინებული, დავალება სრულყოფილად არის შესრულებული.	მხოლოდ ნაწილობრივ იცავს ინსტრუქციას.

„სტატისტიკა შსს-ს მონაცემების მიხედვით“-შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	დიახ	არა
შსს-ს დიაგრამების ანალიზი.	პასუხები შეესაბამება დავალებას.	კითხვები ნაწილობრივ შეესაბამება დავალებას.
არგუმენტირება.	შეუძლია დიაგრამის მიხედვით არგუმენტირებულად იმსჯელოს, უმეტეს შემთხვევაში რა არის საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მიზეზი.	ვერ ასახელებს არგუმენტებს.

VIII - გამოყენებული მულტიმედია რესურსები:
http://police.ge/ministry/structure-and-offices/sapatrulo-politsiis-departamenti
სურათები გადაღებულია ჩემი მოსწავლეების მიერ საველე სამუშაოებზე